ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა

1926 წლის ნოემბრის 16

№ 13 * ტფილისი

განყოფილება

ა/კ. ე. ა. კომფო. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ [illegible]ული.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 752. იმ პირთა შესახებ, ვისაც დამთავრებული აქვს მოკლევადიანი კურსები.

„ 753. იმ პირთა ნაწილობრივი დაზღვევის შესახებ, რომელნიც გრენაკის წარმოებაში სასეზონო და დროებით სამუშაოზე მუშაობენ.

„ 754. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო შემოსავალთა ზოგიერთი კატეგორიის გადასახდელის უდავო წესით გადახდევინების თაობაზე 1924 წლის ნოემბრის 18-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

„ 755. 1926-27 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო ა/კსფსრ ზოგიერთი კანონდებულების გაუქმების შესახებ.

„ 756. ა/კ. ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოსათვის ყველა იმ უფლების მიკუთვნების შესახებ, რაც ა/კსფსრ გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებს აქვთ.

„ 757. ტყის თვითნებისად მოჭრის აღმოჩენისათვის ტყის მცველებისა და მილიციის პრემიით დაჯილდოების შესახებ.

„ 758. დებულება წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიისა და ადგილობრივი კომიტეტების შესახებ.

„ 759. ა/კსფსრ-ში 1926-27 წელს ბეწვეულის დამზადების ორგანიზაციისა და მისი განხორციელების წესის შესახებ.

„ 760. კონსერვაციაქმნილ საწარმოთა ამოძრავების წესის შესახებ.

„ 761. დამხმარეევ ორგანოთა მიერ სრულიად საკავშირო-საამიერკავკასიო გაერთიანებული ფონდის მიმართ 1925-26 საბიუჯეტო წლის დავალიანების დაფარვის წესის შესახებ.

„ 762. წარსული დროისათვის პენსიონერთა პრეტენზიის დაკმაყოფილების წესის შესახებ.

„ 763. რესპუბლიკათა შორის სახალხო კომისარიატებთან არსებული ქალთა შრომის გაუმჯობესებისა და შესწავლის კომისიების მუშაობის გამოოკცხლების შესახებ.

„ 764. მანქანებსა და დაჭგებზე კონსტრუქტიული საფარველებისა და დამცავი მოწყობილობის გამართვის ზეგავლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 765. დასვენებისა და უქმი დღეებისათვის და დასვენებისა და უქმი დღეების წინა-დღის საშეღავათო საათებისათვის სასყიდლის მიცემის შესახებ.

„ 766. სოციალური დაზღვევის ორგანოებში ეკონომიის რეჟიმის განხორციელების შესახებ.

„ 767. იმ დადგენილებათა და განკარგულებათა (ცირკულიარების) ნუსხის შესახებ, რომელთაც დაჭკარგეს ძალა ამიერკავკასის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების გამოცემის გამო—ა/კსფს რესპუბლიკების იმ კანონდებულებათა ნუსხის შესახებ, რომელთაც დაჭკარგეს ძალა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ორთქლის ქვაბებისა, წნევით მომქმედ ხელსაწყოს, ამწევისა და საამწევო მექანიზმის გამოსაღების თაობაზე“ დადგენილების გამოცემის გამო.

„ 768. საფრთხიანობისა და მავნებლობის მიხედვით სატერპენტინო წარმოების 1-ლი კატეგორიისათვის მიკუთვნებისა და შრომის საფრთხიანობისა და მავნებლობის კლასიფიკაციის დამატების შესახებ.

„ 769. შრომის იმ კანონთა და განკარგულებათა ნუსხის დამატების შესახებ, რომელთა დარღვევისათვისაც დამჭირავებელი შეიძლება მიიცეს პასუხისგებაში ადმინისტრატიული წესით.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

მთავლიტი № 1430. დაიბეჭდა 800.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარი № 42 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის სექტემბრის 13.

752. იმ პირთა შესახებ, ვისაც დამთავრებული აქვს მოკლევადიანი კურსები.

რადგანაც ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს ხშირად მოსდის ხოლმე შეკითხვა და მომართვა იმის შესახებ, რომ ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ პროფტეხნიკური მოკლევადიანი კურსები (ანგარიშწარმოებისა, ბუხჰალტერიისა, საქმისწარმოებისა, მანქანით წერისა და სხვ.), მიღებულ იქნენ პრაქტიკისათვის დაწესებულებებსა და საწარმოში უსასყიდლოდ, — კომისარიატი განმარტავს, რომ მომქმედი კანონმდებლობით პრაქტიკანტობა გათვალისწინებულია მხოლოდ ტეხნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებისათვის, რისთვისაც ამ უკანასკნელთა დაწესებულებებში და საწარმოში მიხალებად დადგენილია სავალდებულო წესი, ხოლო ეს პრაქტიკანტობა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც დამთავრებული აქვთ მოკლევადიანი პროფტეხნიკური კურსები (ანგარიშწარმოებისა, ბუხჰალტერიისა, საქმისწარმოებისა, მანქანით წერისა და სხვ.).

ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ ზემოაღნიშნული კურსები, უკეთუ ისინი პირველად ითხოვენ სამუშაოზე მიღებას, პროფკავშირთა ამიერკავკასიის საბჭოს პრეზიდიუმის ა/წ. სექტემბრის 9-ის თარიღის განმარტების თანახმად, გათანასწორებულ არიან პროფკავშირის წევრებთან.

შრომის ინსპექციას დაევალება დაწესებულებათა და საწარმოთა მდგომარეობის გამოკვლევის დროს ყურადღება მიაქციოს, რათა ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ მოკლევადიანი კურსები, პრაქტიკანტების სახით არ იქნენ მიღებული სამუშაოზე უსასყიდლოდ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
საერთო-საორგ. განყოფილების გამგე **ნასყიდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“ ს 1320 №-ში 1926 წლის ნოემბრის 5-ს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 33 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის ივლისის 15.

753. იმ პირთა ნაწილობრივი დაზღვევის შესახებ, რომელნიც გრენაჟის წარმოებაში სასეზონო და დროებითი სამუშაოზე მუშაობენ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე ს. ს. რ. კავშირის შრომის სახ. კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1926 წლის ივნისის 24-ის თარიღისა და 136/913 №-ის დადგენილება იმ პირთა ნაწილობრივი დაზღვევის შესახებ, რომელნიც გრენაჟის წარმოებაში სასეზონო და დროებით სამუშაოზე მუშაობენ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი
და ა/კ. შრომის სახ. კომისარიატთან არსებული
სოც. დაზღვევის მთავარი სამმართველოს უფროსი **ა. იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის საერთო-
საორგანიზაციო განყოფილების გამგის მაგიერ **გრიგორიანი.**

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი

1926 წ. ივნისის 24. № 136/913.

იმ პირთა ნაწილობრივი დაზღვევის შესახებ, რომელნიც გრენაჟის წმრმოებაში სასეზონო და დროებით სამუშაოზე მუშაობენ.

შრომის სახალხო კომისარიატის მიერ სასეზონო და დროებით სამუშაოზე მომუშავე პირთა დაზღვევის შესახებ 1923 წლის ივნისის 21-ს თარიღითა და 259/53 №-რით გამოცემული ცირკულარის („შრომის სახალხო კომისარიატის იზვესტია"-ს 1923 წ. 22 №) დასამატებლად — სსრკ შრომის სახ. კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო ადგენს:

1. ნაწილობრივ დასაზღვევ პირთა მესამე ჯგუფს (შრომის სახ. კომისარიატის 1923 წ. ივნისის 21-ის თარიღისა და 259/53 №-ის ცირკულიარის მე-3 მუხლი) მიეკუთვნებიან ის პირნი, რომელნიც საგრენაჟო წარმოებაში სასეზონო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დროებით სამუშაოზე აროიან და პეპელების გადარჩევისა, ტოლთა შერჩევისა, მათი პარკებში განაწილებისა, აცმისა, პარკების ჩაშოკიდებისა, დედალ-მამალთა განცალკევებისა, მიკროსკოპით გასინჯვის საქმის მომზადებისა, თესლის გარეცხვისა, აწონვისა, ჩაწყობა-შეხვევისა და მისთვის ბანდეროლის შემოკვრის დარგში მუშაობენ.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული ყველა სამუშაო, მავნებლობის ოდენობის მიხედვით, მიეკუთვნება შრომის კლასიფიკაციის პირველ კატეგორიას.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის 1926 წლის ივლისის 1-დან.

სოკ. დაზღვევის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე **ნემჩენკო.**

პასუხისმგებელი მდივანი **ფაინგოლდი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1320 №-ში 1926 წ. ნოემბრის 5-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

754. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო შემოსავალთა ზოგიერთი კატეგორიის გადასახდელის უდავო წესით გადახდევინების თაობაზე 1924 წლის ნოემბრის 18-ის თარიღით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, თანახმად სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წლის სექტემბრის 17-ის თარიღით გამოცემული დადგენილებისა, რომლითაც გადასახადთა აკრეფის დებულების წესები გავრცელებულია არასაგადასახადო სახელმწიფო შემოსავალთა ზოგიერთი კატეგორიის ვადაზე შეუტანელი გადასახდელის გადახდევინებაზე, ადგენს:

გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო შემოსავალთა ზოგიერთი კატეგორიის გადასახდელის უდავო წესით გადახდევინების შესახებ 1924 წლის ნოემბრის 18-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კანონთა კრებ. 1924 წ. № 8, მუხ. 277) ის ნაწილი, რაც ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის ოქტომბრის 26-ის თარიღის დადგენილებით (ა/კსფსრ კანონთა კრებ. 1925 წ. № 10, მუხ. 528) გაუქმებული არ არის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ნოემბრის 1. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1324 №-ში 1926 წ. ნოემბრის 10-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

755. 1926/27 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო ა/კსფსრ ზოგიერთი კანონდებულების გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926-1927 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1926 წლის აპრილის 25-ს დამტკიცებული დებულების (სსრკ კანონთა კრებ., 1926 წ. № 30, მუხ. 192) სამოქმედოდ შემოღების გამო, გაუქმებულ იქნეს:

ა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის ივნისის 18-ის თარიღისა და 35 №-ის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხის შესახებ 1925-1926 საბიუჯეტო წლისათვის (ა/კსფსრ კან. კრებ. 1925 წ. № 6, მუხ. 452);

ბ) ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის ივლისის 13-ს თარიღის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის სხვადასხვა კულტურიანი მიწების სახნავზე გადანაცვლის ნორმებისა და დასაბეგრი ცხვრისა და თხის რაიონების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრებ. 1925 წ., № 7, მუხ. 464);

გ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის ოქტომბრის 29-ის თარიღის ინსტრუქცია ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინების წესისა, ამ მეურნეობათათვის კრედიტის მისაცემად ფონდების დაარსების წესისა და ამ ფონდების დახარჯვის წესის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრებ. 1925 წ., № 11, მუხ. 546).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. მაისის 24. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1324 №-ში 1926 წ. ნოემბრის 10-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

756. ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსათვის ყველა იმ უფლების მიკუთვნების შესახებ, რაც ა/კსფსრ გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებს აქვთ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამიერკავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიეკუთვნოს ყველა ის უფლება, რაც ა/კსფსრ გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებს აქვთ.

2. ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველი შევიდეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შედგენილობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3. ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველს დანიშნავს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ნოემბრის 1. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1324 №-ში 1926 წ. ნოემბრის 10-ს.

დადგენილება № 42 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

757. ტყის თვითნებისად მოჭრის აღმოჩენისათვის ტყის მცველებისა და მილიციის პრემიით დაჯილდოების შესახებ.

რათა ბრძოლა ტყის თვითნებისად მოჭრის წინააღმდეგ მეტის წარმატებით სწარმოებდეს — ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ტყის მცველებისა და მილიციის პრემიით დაჯილდოება იმ პირთა აღმოჩენისათვის, რომელნიც თვითნებისად მოსჭრიან ტყეს და უკანონოდ ისარგებლებენ ტყესა და ტყის სანახებს. უკეთუ ამასთანავე აღმოჩენილი იქნება თვითნებისად მოჭრილი ხე-ტყე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დადგენილ იქნეს შემდეგი წესი სატყეო კოდექსის დარღვევისათვის გადახდევინებული თანხის განაწილებისა და გადარიცხვისა: 30% გადაირიცხოს ტყის მცველებისა და მილიციისათვის პრემიის მისაცემად, 40%—ხაზინის შემოსავლად და 30%—ადგილობრივი ბიუჯეტისათვის.

3. ტყის თვითნებისად მოჭრის საშუალებით შეძენილი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად კონფისკაციაქმნილი ხე-ტყის მასალა სოფლის ადგილას, სატყეოს გარეშე, გადავა საუბნო, სათემო ან სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში, რომელიც გამოიყენებს მას და პრემიას მისცემს ტყის მცველებსა და მილიციას აღნიშნული ნორმების მიხედვით.

4. პრემიის გაცემის წესი განისაზღვრება ცალკე ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ამავე რესპუბლიკის შრომისა, ფინანსთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. ოქტომბრის 19. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1324 №-ში 1926 წ. ნოემბრის 10-ს.

დადგენილება № 33 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

755. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიისა და ადგილობრივი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/კსფსრ ფარგლებში მომქმედი წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ 1925 წლის ოქტომბრის 1-ის თარიღითა და 49 №-ით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1925 წ., № 10, მუხ. 512) გასაუქმებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. ოქტომბრის 14. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1324 №-ში 1926 წ. ნოემბრის 10-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიისა და ადგილობრივი კომიტეტების შესახებ

ა. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამირკავკასიის კომიტეტი

I. ზოგადი დებულებანი.

1. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტი იმყოფება სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან, რომელიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს. ამიერკავკასიის კომიტეტი გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს უშუალო გამგებლობაშია და წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ცენტრალური კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით მოქმედობს; იგი ხელმძღვანელობას გაუწევს წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმეს, თვალყურს ადევნებს ამ საქმის სწორედ დაყენებას და წარმართავს ა/კსფსრ ტერიტორიაზე ადგილობრივი კომიტეტების მოქმედებას, ხოლო მათი მეშვეობით წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ მოხალისე საზოგადოებათა მოქმედებასაც.

2. ა/კსფსრ წყლებზე მოქალაქეთა სიცოცხლის დასაცავად წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტი მიზნად ისახავს:

ა) იხმაროს წინასწარი ღონისძიებანი, რათა წყალზე მოსალოდნელი უბედურება არ მოხდეს;

ბ) გადაარჩინოს ხალხი წყალში დაღუპვისაგან;

გ) მოაწყოს დახმარება ხალხისა და ნავჭურჭლებისათვის, რომელთაც წყალზე უბედურება შეემთხვევათ;

დ) იხმაროს თავის დროზე სათანადო ღონისძიებანი წყალზე სტიქიურ უბედურების დროს;

ე) ფართოდ გაავრცელოს წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის იდეა და გააცნოს სანაპირო მოსახლეობას განსაცდელში მყოფი ნავჭურჭლებისა და ხალხისათვის დახმარების აღმოჩენის საშუალებანი;

3) ჩაბას თვით, დამოუკიდებლად, და თვისი ქვემდებარე ორგანოების მეშვეობით, წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმეში მოსახლეობის ფართო წრეები, სახელმწიფო დაწესებულებანი, სახელმწიფო საწარმონი, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციები.

II. კომიტეტის ორგანიზაცია.

3. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამირკავკასიის კომიტეტი შესდგება თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილისაგან, რომელთაც დანიშნავს სსრკ გზათა სახალხო კომისარი, ხოლო დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სართა საბჭო,—და წევრთაგან შემდეგ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელის სახით: გზათა სახალხო კომისარიატისა—ორი წარმომადგენელი, თითო წარმომადგენელი—ა/კ. შრომის სახ. კომისარიატისა, კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოსი, ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ კომისარიატისა, ა/კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსი, ა/კ. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოსი და ლენინელ ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტისა და აგრეთვე თითო წარმომადგენელი მიწათმოქმედებისა, ჯანმრთელობისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებისა, წყალზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებებისა.

4. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტის წევრები, არიან რა მუდმივი წარმომადგენლები დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისა, დაინიშნებიან ამ უკანასკნელთა სათანადო დადგენილებით და ბრძანებით.

5. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტის დადგენილებით, მის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, სათათბირო ხმის უფლებით, შეიძლება მიწვეულ იქნენ სხვა, კომიტეტის მიერ განსახილველი საკითხებით დაინტერესებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, და აგრეთვე სხვადასხვა სპეციალური საკითხების მცოდნე პირნი.

6. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტის წევრებს, აგრეთვე თანამშრომლებს აქვთ ყველა უფლება, რაც დადგენილია გზათა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებისათვის.

7. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ა/კ. კომიტეტი დანიშნავს ტეხნიკურ აპარატს ან მის მეთაურ პირს, სახარჯთაღრიცხვო წესით დადგენილ ფარგლებში.

8. ამიერკავკასიის კომიტეტის სხდომებს მოიწვევს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე საჭიროებისდამიხედვით, ხოლო თვეში ერთხელ მაინც.

9. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ა/კ. კომიტეტის მოქმედებას ხელმძღვანელობას გაუწევს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე. მათვე დაეკისრებათ—თვალყური ადევნონ კომიტეტის დადგენილებათა აღსრულებას. მიმდინარე მიწერ-მოწერა კომიტეტის სახელით დაეკისრება კომიტეტის ტეხნიკურ აპარატს.

10. ა/კ. კომიტეტის სხდომა შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ დაესწრო თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და კომიტეტის წევრთა რიცხვის ნახევარი მაინც.

11. ამერკავკასიის კომიტეტი დადგენილებას ხმის მარტივი უმეტესობით გამოიტანს.

შენიშვნა. ა/კ. კომიტეტის ყოველი დადგენილება მოიყვანება სისრულეში მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში.

12. უკეთუ კომიტეტის დადგენილების წინააღმდეგ რომელიმე დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის წარმომადგენელი პროტესტს განაცხადებს და ამ დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის მეთაური აღნიშნულ პროტესტს დაადასტურებს კომიტეტის სახელზე წარდგენილი წერილობითი განცხადებით, ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის განმავლობაში დღიდან დადგენილების ასლის მიღებისა, — დადგენილების სისრულეში მოყვანა შეჩერებულ იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის წარმომადგენელი ისეთი დადგენილების გამო განაცხადებს პროტესტს, რომელიც გამპროტესტებელ უწყებას შეეხება; დანარჩენ შემთხვევაში კი კომიტეტის დადგენილება სისრულეში მოიყვანება და ყველა პროტესტი ა/კ. კომიტეტის დადგენილებითურთ წარედგინება გადასაწყვეტად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

13. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტის დადგენილებანი ეცნობება კომიტეტში წარმოდგენილ და აგრეთვე ყველა დაინტერესებულ დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

III. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტის უფლება-მოვალეობანი.

14. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ამიერკავკასიის კომიტეტს დაეკისრება.

ა) მოაწყოს ადგილობრივ, სადაც ამას საჭიროდ სცნობს წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ცენტრალური ან ამიერკავკასიის კომიტეტი, წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ადგილობრივი კომიტეტები, რომელნიც იმოქმედებენ ა/კ. კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით, და აგრეთვე განსაზღვროს მათი მოქმედების რაიონი;

ბ) შეიმუშაოს გადამრჩენ დაწესებულებათა ქსელის გეგმა, როგორიც არის: სადგური, მცირე სადგური, სადარაჯო და სხვ., და მიაწოდოს მათ, ადგილობრივი კომიტეტების მეშვეობით, გადარჩენის საქმისათვის საჭირო ხელსაწყო და ინვენტარი;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიოს მდინარეზე, ტბაზე და ზღვაზე ავარიისაგან გადარჩენის საქმეს;

დ) შეიმუშაოს და განიხილოს იმ წესებისა და დადგენილებების პროექტები, რაც სავალდებულოა აღსასრულებლად წყალში დაღუპვისაგან გადარჩენისა, განსაცდელში მყოფ ნავეშურჭლისა და ხალხისათვის დახმარების აღმოჩენისა და წყალზე და სტიქიური მოვლენის დროს უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებათა მიღების სფეროში, და აგრეთვე გაატაროს ეს წესები და დადგენილებები სათანადო ორგანოებში;

ე) შეიმუშაოს ღონისძიებათა საერთო გეგმა უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, რაც მოსალოდნელია სტიქიური მოვლენების გამო, როგორიც არის: წყალდიდობა, ღელვა და სხვ., და შეიმუშაოს დახმარების მოწყობის გეგმა;

ვ) გამოარკვიოს, თუ რამდენად დაინტერესებულ არიან დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმით და რამდენად აქტიურ მატერიალურ დახმარებას უწევენ ისინი ამ საქმეს;

ზ) წარადგინოს ხოლმე მთავრობის ორგანოებში სათანადო მოხსენება ამა თუ იმ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ წყალზე უბედურ შემთხვევათა წინასწარ ასაცილებლად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) განიხილოს ადგილობრივი კომიტეტების სახარჯთაღრიცხვო განზრახულებანი მომავალი სბიუჯეტო წლისათვის, რათა ისინი შეტანილ იქნენ ამიერკავკასიის კომიტეტის საერთო ხარჯთაღრიცხვაში, და წარუდგინოს ეს ხარჯთაღრიცხვები დასამტკიცებლად წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ცენტრალურ კომიტეტს, აგრეთვე დაამტკიცოს ადგილობრივი კომიტეტების წლიური ანგარიშები;

ი) საერთო ზედამხედველობა გაუწიოს წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ მოხალისე საზოგადოებათა მოქმედებას, განახორციელოს, ადგილობრივი კომიტეტების მეშვეობით, მეთვალყურეობა საზოგადოებების გამგეობათა სისწორით არჩევისათვის და გადასწყვიტოს წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ადგილობრივ კომიტეტებსა და მოხალისე საზოგადოებათა შორის აღძრული უთანხმოება;

კ) წაახალისოს თავდადება წყალში მაღრჩვალთა და განსაცდელში მყოფი ნავჭურჭელისა და ხალხის გადარჩენისათვის და აგრეთვე განსაკუთრებით თვალსაჩინო საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა წყალში დაღუპვასაგან გადარჩენის სფეროში — ქების ფურცლებისა, სიგელებისა, დიპლომებისა, ნიშნებისა ან ფულადი ჯილდოს მიცემით და აგრეთვე მთავრობის ჯილდოზე წარდგენით;

ლ) გამოსცეს, წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ცენტრალური კომიტეტის თანხმობით, და გაავრცელოს როგორც მცხოვრებთა შორის, ისე დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა (სახელმწიფო და კერძო) შორის სპეციალური ბროშურები, სახელმძღვანელოები, დარიგებანი, ფურცლები, პლაკატები და სხვ., რაც შეეხება წყალში დაღუპვისაგან გადარჩენას, განსაცდელში მყოფი ნავჭურჭლისა და ხალხისათვის დახმარების აღმოჩენას და წინასწარ ღონისძიებათა მიღებას, რათა წყალზე და სტიქიური მოვლენის დროს მოსალოდნელი უბედურება არ მოხდეს;

მ) მოიწვიოს ამიერკავკასიის მასშტაბით ყრილობები, კონფერენციები და თათბირები წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საკითხების გამო და მათი მოწვევის ვადებზე წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ცენტრალურ კომიტეტს შეეთანხმოს;

ნ) საბოლოოდ შეიმუშაოს სტატისტიკური მასალა ყველა იმ უბედური შემთხვევის შესახებ, რაც ნავჭურჭელს ან ხალხს წყალზე მოჰსვლია და აგრეთვე აწარმოოს სწორი აღნუსხვა და რეგისტრაცია ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ მოხალისე საზოგადოებათა.

15. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტი დანიშნავს, საჭიროებისდაგვარად, თავის რწმუნებულებს, რომელთა მოქმედებაც გავრცელდება ცალკე რაიონებზე, სადაც ადგილობრივი კომიტეტი არ არსებობს.

16. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ამიერკავკასიის კომიტეტებს აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდების წარწერით ოთხ ენაზე.

17. დაკისრებულ მოვალეობათა განსახორციელებლად წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ა/კ. კომიტეტს უფლება ეძლევა:

ა) უშუალოდ მიმართის თავისი გამგებლობის საკითხების გამო ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათ, გარდა ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტისა, ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოსი და ა/კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, აგრეთვე ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, სახალხო კომისართა საბჭოებისა და ეკონომიური საბჭოებისა;

ბ) შეიძინოს, გაასხვისოს, მიიღოს საჩუქრად, აიღოს და გასცეს იჯარით ყოველგვარი ქონება; დასდოს ხელშეკრულობა და გარიგება და საერთოდ განაგოს მთლად თავისი ქონება და კაპიტალი.

18. კომიტეტის წევრებს და აგრეთვე მისი ტეხნიკური აპარატის თანამშრომლებს უფლება აქვთ ატარონ დაწესებული სახის ფორმა.

IV. ს ა ხ ს ა რ ი.

19. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ა/კ. კომიტეტის ფულად სახსარს შეადგენს:

ა) გზათა სახ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით გადადებული თანხა;

ბ) გამოცემათა და სხვ. გაყიდვით მიღებული შემოსავალი;

გ) შეწირული თანხა და

დ) კანონიერი წესით დადგენილი განსაკუთრებული გამოსაღებისა და სხვა შემოსავალთა თანხები.

20. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ა/კ. კომიტეტი აოსებობს გზათა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის კრედიტების ანგარიშზე, ხოლო სხვა წყაროებიდან მიღებულ სახსარს ა/კ. კომიტეტი დახარჯავს ადგილობრივი კომიტეტების მეშვეობით წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმის განსავითარებლად და გასაუმჯობესებლად.

ბ. ადგილობრივი კომიტეტები.

V. ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი.

21. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ადგილობრივი კომიტეტები განაგებენ წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმის წესიერად დაყენებას და თავისი ტერიტორიის ფარგლებში ხელმძღვანელობას გაუწევენ წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ მოხალისე საზოგადოებათა მოქმედებას.

22. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ადგილობრივი კომიტეტი სახელმწიფოებრივი ორგანოა და წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ა/კ. კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობაში იმყოფება.

VI. ადგილობრივი კომიტეტების ორგანიზაცია.

23. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ადგილობრივი-კომიტეტი შესდგება თავმჯდომარისა და თავმჯდომრის მოადგილისაგან, რომელნიც გზათა სახ. კომისარიატის ადგილობრივი დაწესებულების წარმომადგენლები არიან. და წევრებისაგან შემდეგ უწყებათა და ორგანიზაციათა ადგილობრივი ორგანოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენლების სახით: შრომის სახალხო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, სახ. კომისარიატისა, მიწათმოქმედებისა, ჯანმრთელობისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებისა, სახელმწიფო დაზღვევისა, ლენინელ ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისა, წყალზე მომუშავეთა პროფკავშირისა, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებათა და ადგილობრივი სამხედრო სარდლობისა, — თითო წარმომადგენელი თვითეულ ორგანოსაგან.

თავმჯდომარესა და მის მოადგილეს თანამდებობაზე დაამტკიცებს წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ა/კ. კომიტეტი, რაც გამოცხადდება გზათა სახ. კომისარიატის აღგილობრივი ორგანოს ბრძანებაში.

პორტებში ადგილობრივი კომიტეტის შედგენილობაში შევლენ: ერთი წარმომადგენელი პორტისა და ერთიც საბჭოთა სავაჭრო ფლოტისა.

24. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ადგილობრივი კომიტეტის წევრები, არიან რა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები, დაინიშნებიან მათი სათანადო დადგენილებით და ბრძანებით.

25. ადგილობრივი კომიტეტის წევრებს და აგრეთვე მის თანამშრომლებს აქვთ ყველა უფლება, რაც დადგენილია გზათა სახ. კომისარიატის თანამშრომლებისათვის.

26. ადგილობრივი კომიტეტის სხდომას მოიწვევს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე საჭიროებისდამიხედვით, ხოლო თვეში ერთხელ მაინც.

27. ადგილობრივი კომიტეტის სხდომა შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ დაესწრო თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და კომიტეტის წევრთა რიცხვის ნახევარი მაინც.

28. დადგენილებას ადგილობრივი კომიტეტი ხმის მარტივი უმეტესობით გამოიტანს.

29. უკეთუ კომიტეტის დადგენილების წინააღმდეგ ერთ-ერთი წევრი პროტესტს განაცხადებს და ის დაწესებულება, რომელსაც ეს წევრი წარმოადგენს, აღნიშნულ პროტესტს ორი კვირის განმავლობაში წერილობით დაადასტურებს, დადგენილების სისრულეში მოყვანა შეჩერებულ იქნება, ვიდრე საკითხს წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ა/კ. კომიტეტი გადასწყვეტდეს.

30. ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება ეცნობება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს და წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ა/კ. კომიტეტს და აგრეთვე ყველა, კომიტეტში წარმოდგენილ და დაინტერესებულ დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

VII. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ადგილობრივი კომიტეტების უფლება-მოვალეობანი.

31. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ადგილობრივ კომიტეტს დაეკისრება:

ა) უშუალოდ განაგოს მოლად წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმე კომიტეტის მოქმედების ტერიტორიაზე;

ბ) გამოარკვიოს, თუ რამდენად დაინტერესებული არიან ადგილობრივი დაწესებულებები და ორგანიზაციები წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიიღოს სათანადო ღონისძიებანი, რათა ისინი ჩაებნენ აქტიურ მოქმედებაში და წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმეს მატერიალურად ხელი შეუწყონ;

გ) მიიღოს სათანადო ღონისძიებანი, რათა წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ორგანოებს გადაეცეს წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი, ყოფ. რუსეთის საზოგადოების მთელი ქონება, ვის გამგებლობაშიაც უნდა იყოს იგი და რა ქონებაც უნდა იყოს;

დ) შეიმუშაოს გეგმა დახმარების ორგანიზაციისათვის წყალდიდობისა, მდინარეთა გადმოვარდნისა, მეთევზეობის მწარმოებელი მოსახლეობის მასსიური უბედურებისა და სხვა რამ ამისთ. მოვლენის დროს, და გაატაროს ეს გეგმა სათანადო ადგილობრივ ორგანოში;

ე) მოაწყოს, წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ა/კ. კომიტეტის გეგმის მიხედვით, გადამრჩენ დაწესებულებათა ქსელი, როგორიც არის: სადგური, მცირე სადგური, სადარაჯო და სხვ., და მოამარაგოს ისინი; მოაწყოს აგრეთვე ავარიისაგან გადარჩენის საქმე და ხელმძღვანელობა გაუწიოს მას;

ვ) ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი და კერძო ინიციატივის გაძლიერებას [illegible] წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ მოხალისე საზოგადოებათა მოწყობისათვის, რა საზოგადოებანიც დაარსებულ უნდა იქნენ თანახმად ა/კსფსრ შეიდგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობისა იმ საზოგადოებათა შესახებ [illegible] მელნიც მოგების მიღების მიზანს არ მისდევენ;

ზ) ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაუწიოს წყალში [illegible] გადამრჩენ მოხალისე საზოგადოებათა მოქმედებას, და აგრეთვე აწარმოოს [illegible] სისწორით აღნუსხვა;

თ) აწარმოოს თავისი ტერიტორიის ფარგლებში სტატისტიკა ყველა უბედური მოვლენისა, რაც წყალზე ნავჭურჭელს ან ხალხს შეემთხვევა;

ი) წარუდგინოს წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ა/კ. კომიტეტს მოხსენება წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ცალკე საზოგადოებათა ლიკვიდაციის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოება დაარღვევს არსებულ კანონდებულებას ან დაუფხვევს იმ მიზნებს, რასაც წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმე ისახავს;

კ) შეადგინოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად სათანადო ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს სავალდებულო დადგენილებანი წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმის სფეროში;

ლ) წაახალისოს თავდადება და სიმამაცე წყალში მაღრჩვალთა და განსაცდელში მყოფი ნავჭურჭლისა და ხალხის გადარჩენისათვის და აგრეთვე განსაკუთრებით თვალსაჩინო მუშაობა წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის სფეროში, ა/კ. კომიტეტში წარდგენით—ქების ფურცლისა, სიგელისა, დიპლომისა, ნიშნისა ან ფულადი ჯილდოს მისაცემად, და აგრეთვე მთავრობის ჯილდოზე წარდგენით;

მ) უშუალოდ მიმართოს თავისი გამგებლობის საკითხების გამო ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას, რომელიც ადგილობრივი კომიტეტის მოქმედების ტერიტორიაზე იმყოფება;

ნ) მიიღოს საჩუქრად და შეიძინოს და გაასხვისოს ქონება, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, აიღოს და გასცეს იჯარით ნაგებობა, დასდოს ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარი ხელშეკრულობა და გარიგება და განაგოს მთლად თავისი ქონება და კაპიტალი ადგილობრივი კომიტეტის მოქმედების ფარგალში, დაღუპვისაგან გადამრჩენ ა/კ. კომიტეტთან შეთანხმებით;

ო) განაგოს წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ა/კ. კომიტეტის მიერ გადაცემული კრედიტები დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვათა ფარგლებში;

პ) წარუდგინოს მთავრობის სათანადო ადგილობრივ ორგანოებს მოხსენება წყალზე მომხდარი სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

32. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ადგილობრივ კომიტეტს აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

VIII. ადგილობრივი კომიტეტების სახსარი.

33. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ადგილობრივი კომიტეტის ფულად სახსარს შეადგენს:

ა) გზათა სახ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით გადადებული თანხა;

ბ) გამოცემათა გაყიდვით მიღებული შემოსავალი;

გ) შეწირული თანხა და

დ) კანონიერი წესით დადგენილი განსაკუთრებული გამოსაღებისა და სხვა შემოსავალთა თანხები.

34. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ადგილობრივი კომიტეტის ყველა სახსარი, გარდა გზათა სახ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით გადაცემული თანხებისა, შეადგენს სპეციალურ ფონდს, რაც, წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ა/კ. კომიტეტის განსაკუთრებული ნებართვით, წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმის გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად დაიხარჯება.

დადგენილება № 41/97-ა ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. ოქტომბრის 9.

759. ა/კსფსრ-ში 1926-27 წელს ბეწვეულის დამზადების ორგანიზაციისა და მისი განხორციელების წესის შესახებ.

1. ბეწვეულის მთავარ დამმზადებლად ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ჩაითვალოს ამიერკავკასიის კოოპ. კავშირი და ა/კ-ს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო, რომელთაც დაკისრებული აქვთ მთლად ა/კსფსრ დამმზადებელ-საექსპორტო გეგმის შესრულება.

ცალკე რესპუბლიკებში დამზადების უფლება შეიძლება მიეცეს ადგილობრივ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ხოლო მთლად მათ მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამზადებული ბეწვეული აუცილებლად უნდა ჩაბარდეს მარტოოდენ მთავარ დამმზადებელთ, ე. ი. ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს და ამერ-კავკასიის კოოპ. კავშირს, რომელთა შორისაც განაწილდება მთლად ა/კსფსრ-ში დამზადებული ბეწვეული ზემოგათვალისწინებული პროპორციით.

მთავარი დამმზადებელნი (ა/კ. სახ. ვაჭრობის სამმართველო და ა/კ. კოოპ. კავშირი) მთლად არა-საექსპორტო ბეწვეულს გადასცემენ კავშირის სახელმწიფო ბეწვეულის დამუშავებელ მრეწველობას.

2. დამმზადებელთა შეთანხმებით ა/კსფსრ-ში 1926-27 წლისათვის დაწესებულია შემდეგი სასინდიკატო ფასები:

მელის ბეწვეული:	ა) სომხეთი და ფიკვიანი მთა-ადგილი—8 მან. (მთის მელის ბეწვეული წითელი და ღია-ფერი);	
	ბ) ამიერკავკასიური წითელი და ღია-ფერი (ა/კსფსრ დანარჩ. რაიონები)—6 მან. 50 კაპ.;	
	გ) ამიერკავკასიური—რუხი—5 მან.;	
	დ) ყარაგანული—3 მან. 75 კაპ. (მინდვრის მელა, უმთავრესად აზერბაიჯანისა).	
კვერნა:	ა) გულყვითელა—23 მან. (ტყისა რბილი);	
	ბ) გულთეთრა —18 მან. (მთისა ხეშეში).	
ტურა	— 1 მან. 20 კაპ.	
მაჩვი	— 1 მან. 70 კაპ.	
მგელი	— 4 მან.	
გარეული კატა:	ა) რბილი . . . — 1 მან. 10 კაპ. (ტყისა)	
	ბ) ხეშეში . .	80 კაპ. (ლელიანი ჭაობიანი ადგილისა, მინდვრისა).
წავი	—25 მან.	
კურდღელი		35 კაპ. (8 ფუთზე ნაკლები, 1000 ცალობით).

სასინდიკატო ფასი ითვლება დამმზადებლის ფრანკო-საწყობი ტფილისში, ბაქოში, ერევანში, ბათომში, სოხუმში, განჯაში, ქუთაისში და ლენინაკანში. ამ ადგილების გარეშე ყიდვის დროს ფასი დაკლებულ უნდა იქნეს, რათა დაიფაროს ის ხარჯი, რაც საჭირო იქნება ბეწვეულის ერთ-ერთ აღნიშნულ ადგილამდე მისატანად.

3. ზემოაღნიშნული ფასები დაწესებულია უმაღლესი ხარისხის ბეწვეულისათვის. დანარჩენი ხარისხის ბეწვეულისათვის და აგრეთვე დეფექტიანი და წუნდადებული ბეწვეულისათვის ეს ფასები აუცილებლად უნდა შემცირდეს „ბეწვეულის სრულიად საკავშირო სტანდარტის" წესების მიხედვით, რომელი სტანდარტიც დამტკიცებულია საგარეო და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატების მიერ 1925 წლის სექტემბრის 14-ს და ოქტომბრის 31-ს, და რომელიც ამა დადგენილებას დაერთვის.

4. სასინდიკატო ფასები სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისათვის, რომელიც ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ბეწვეულს ამზადებს, როგორც უმაღლესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკიდურესი ფასები. სასინდიკატო ფასების შეცვლა შეიძლება საკონვენციო ბიუროს მეშვეობით და ა/კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის დამტკიცებით.

ყველა, ვინც აღნიშნულ ფასებს გადაამეტებს, უნდა დაჯარიმდეს, მოიხსნას ბაზრიდან და პასუხისგებაში მიიცეს.

5. ყველა დამმზადებელი ვალდებულია ბეწვეულის დამზადება აწარმოოს კოოპერაციის მეშვეობით (ძირითადი კოოპერატივებისა ან მათი რესპუბლიკანური შენაერთების მეშვეობით); უკეთუ ძირითადი კოოპერაცია ან კავშირი დამზადებაზე უარს იტყვის, ან უკეთუ მათი მეშვეობით შეუძლებელია მთლად ამა თუ იმ რაიონის ბეწვეულის შესყიდვა, სახელმწიფო ორგანიზაციას შეუძლიან დამზადება ამ რაიონში საკუთარი მიმღებ-დამმზადებელი პუნქტების ქსელის მეშვეობითაც აწარმოოს.

6. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად, ყველა ორგანიზაციას კატეგორიულად აეკრძალება მიჰყიდოს ბეწვეული კერძო პირთ ან ერთმანეთს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ბეწვეულს ძირითად დამმზადებელს ჩააბარებენ.

7. აეკრძალება ბეწვეულის დამზადება და ყიდვა იმ ორგანიზაციებს, რომელნიც ამა დადგენილებაში აღნიშნულ და საკონვენციო ხელშეკრულებაში ჩამოთვლილ არ არიან (მუხ. 18).

8. აკრძალულია დამზადება და ყიდვა ადრიან შემოდგომას (ნოემბრის 15-მდე) და გვიან გაზაფხულს (აპრილის 1-ის შემდეგ) მოკლულ თუ დაჭერილ ცხოველთა ბეწვეულისა.

9. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის 1925 წლის ოქტომბრის 10-ის თარიღისა და 1102 №-ის ცირკულიარის თანახმად, რომელი ცირკულიარიც სისწორით შესრულებულ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის ნედლეულობის პროდუქციის დამზადების დროს, ყველა დამმზადებელს, როგორც ძირითადს, ისე რესპუბლიკანურს, აეკრძალება მოახდინოს რაიმე გადახდა საქონლით ფულის ნაცვლად (საქონლის გაცვლა-გამოცვლის ოპერაცია დამზადების დროს). ამა მუხლის დარღვევისათვის დამნაშავე დაუყოვნებლივ მოიხსნება დამზადების ბაზრიდან და მიიცემა პასუხისგებაში სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

10. ყველა დამმზადებელი ვალდებულია მის მიერ დადებულ ხელშეკრულობას ბეწვეულის დამზადებისა, მიწოდებისა და გაყიდვის შესახებ და აგრეთვე ყველა ცვლილებას, რაც ამ ხელშეკრულობაში შეტანილ იქნება, რეგისტრაცია გაუკეთოს ა/კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატში და მის რწმუნებულთა სამართველოებში (რესპუბლიკებში), რის შემდეგაც აღნიშნული ხელშეკრულობანი და ცვლილებანი ძალაში შედიან.

11. ბეწვეულის ყველა დამმზადებელი ვალდებულია წარადგინოს ხოლმე პერიოდულად ა/კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის სათანადო ორგანოში ცნობები და ანგარიში: 1) დამზადების მსვლელობის შესახებ; 2) მიღებული, გაცემული და ხელთქონებული ბეწვეულის შესახებ საანგარიშო პერიოდისათვის, რაიონების მიხედვით, და ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამმზადებელი ვალდებულია მთლად თავის ანგარიშგებაში ცალკე აჩვენოს ბეწვეულის თვითეული სახე და თვითეული ხარისხი სტანდარტის მიხედვით და დასამზადებელი ფასისა და თანხის აღნიშვნით.

12. იმ მიზნით, რათა შეიქმნას დამზადების ნომალური პირობები და სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები ბეწვეულის ბაზარზე შეთანხმებით გამოვიდნენ, აგრეთვე იმისათვის, რათა დამზადების ფასები ისეთ დონეზე იყოს, რაც უზრუნველყოფს მრეწველი მოსახლეობის ინტერესებს და თანაც ექსპორტის რენტაბელობას, ე. ი. იმისათვის, რათა დაცულ იქნეს დამმზადებელთა შეთანხმებისამებრ, შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის დასტურით, დაწესებული სასინდიკატო ფასები,—დაევალოს ყველა დამმზადებლებს დასდონ ურთიერთ შორის საკონვენციო ხელშეკრულობა ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კ-ტის კონტროლით და ხელმძღვანელობით.

13. საკონვენციო ხელშეკრულობაში გათვალისწინებულ უნდა იყოს: ა) ამა დადგენილების წესების შესრულება; ბ) ყველა სახის ბეწვეულის უკიდურესი მაქსიმალური სასინდიკატო ფასების შეცვლის წესი ა/კსფსრ ყველა რაიონებისათვის; გ) პირობები, რაც უზრუნველჰყოფს ნორმალურ ურთიერთობას ძირითად დამმზადებელთა შორის, ძირითად დამმზადებლებსა და ადგილობრივ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის და აგრეთვე ამ ორგანიზაციებს შორის.

ხელშეკრულობაში აგრეთვე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბეწვეულის სრულიად საკავშირო სტანდარტისა და დამზადებათა დარაიონების წესის სიზუსტით დაცვა.

14. ყველა მონაწილის მიერ საკონვენციო ხელშეკრულობის შესრულების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულობაში გათვალისწინებულ უნდა იყოს თვითეული მონაწილის მატერიალური პასუხისმგებლობა, რისთვისაც შინა-ვაჭრობის კომისარიატის სალაროში შეტანილ უნდა იქნეს სათანადო თანხის თამასუქები; თამასუქების თანხა უნდა შეადგენდეს 2%-ს მაინც იმ ბეწვეულის საერთო ღირებულებისა, რაც თვითეულმა ორგანიზაციამ უნდა დაამზადოს 1926-1927 წლისათვის ა/კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის გეგმისა და საკონვენციო განაწილების მიხედვით.

შენიშვნა. საკონვენციო ხელშეკრულობაში სისწორით უნდა იქნეს ჩამოთვლილი ის ორგანიზაციები, რომელთაც შეუძლიანთ ა/კსფსრ ბეწვეულის დამზადების წარმოება; თანაც თვითეული მათგანისათვის უნდა აღინიშნოს დასამზადებელი ბეწვეულის რაოდენობა, თანხა და მოქმედების რაიონი.

15. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს დაეკისრებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების ყველა მუხლის შესრულებას.

16. სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელსაც, ამა დადგენილებისა და საკონვენციო ხელშეკრულობის ძალით, უფლება აქვს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ბეწვეულის დამზადება აწარმოოს, ხოლო ის, რომელიც საკონვენციო ხელშეკრულობაზე ხელისმოწერას და ხელშეკრულობის პირობების დაცვას თავს აარიდებს,—გამოირიცხება დამმზადებელთა რიცხვიდან და ბაზრიდანაც მოიხსენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. საკონვენციო ხელშეკრულებას დაამტკიცებს ა/კ. შინა-ვაპრობის სახალხო კომისარიატი.

18. დადგენილება ესე ძალაში შედის 1926 წლის ოქტომბრის 6-დან.

ა/კ. შინა-ვაპრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1324 №-ში 1926 წ. ნოემბრის 10-ს.

დადგენილება № 65 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. ნოემბრის 9.

760. კონსერვაციაქმნილ საწარმოთა ამოძრავების წესის შესახებ.

რადგანაც მოსალოდნელია, რომ კონსერვაციაქმნილ საწარმოთა ამოძრავების დროს შრომის ინსპექციასა და სამეურნეო ორგანოთა შორის სხვადასხვა გაუგებრობა მოხდეს, ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წლის სექტემბრის 14-ის თარიღისა და 197-379 №-ის ცირკულიარის მიხედვით, ადგენს:

1. არც ერთი კონსერვაციაქმნილი საწარმო ან და მისი ნაწილი ამიერიდან არ შეიძლება ამოძრავებულ იქნეს თვინერ შრომის სახ. კომისარიატის ორგანოების სათანადო ნებართვისა.

2. ყველა დაწესებულება, საწარმო და პირი, რომელსაც განზრახული აქვს აამუშაოს კონსერვაციაქმნილი საწარმო ან მისი ნაწილი, წარუდგენს ამის შესახებ განცხადებას სათანადო რაიონის (უბნის) შრომის ინსპექტორს.

3. განცხადებაში აღნიშნულ უნდა იყოს: 1) ასამუშავებლად განზრახული საწარმოს სახელწოდება და მისამართი; 2) წარმოების დარგი; 3) მუშათა განზრახული რაოდენობა; 4) სახელწოდება იმ კავშირისა, რომელიც საწარმოს მუშებს აერთიანებს და 5) სახელწოდება და მისამართი იმ დაწესებულებისა, საწარმოსი თუ პირისა, რომელსაც კონსერვაციაქმნილი საწარმოს ამოძრავებას აპირებს.

4. ასამოძრავებლად განზრახულ საწარმოს დაათვალიერებს კომისია, რომელშიაც შედიან ტეხნიკური და სანიტარული ინსპექტორები და აგრეთვე იმ კავშირის წარმომადგენელი, რომელიც ამ საწარმოს მუშებს აერთიანებს.

5. აღნიშნული კომისია დაათვალიერებს საწარმოს. არა უგვიანეს ერთი კვირისა, უკეთუ საწარმო ინსპექტორების საცხოვრებელ ადგილასაა, და არა უგვიანეს ორი კვირისა, უკეთუ საწარმო სხვა ადგილასაა.

6. დათვალიერების შემდეგ ინსპექცია წარადგენს მოთხოვნას აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორებისა და ისეთი შრომის პირობების დაწესების შესახებ, რაც შრომის კანონმდებლობას შეეფერება.

7. აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორებისას, ადმინისტრაციის განცხადებისამებრ, მოხდება საწარმოს ხელმეორედ დათვალიერება იმავე კომისიის მიერ, რის შემდეგაც შესდგება აქტი საწარმოს დათვალიერებისა და მის ასამოძრავებლად ნებართვის მიცემის შესახებ.

შენიშვნა. საწარმოს ასამოძრავებლად ნებართვის მიცემა შეიძლება მოხდეს, კომისიის შეხედულებისამებრ, ყველა აღმოჩენილ ნაკლის გამოსწორებამდეც, ხოლო იმ ვალდებულებით, რომ წარდგენილი მოთხოვნა შესრულებულ იქნეს განსაზღვრულ ვადაზე. ამ შემთხვევისათვის აქტში შეტანილ უნდა იქნეს სათანადო შენიშვნა.

8. ხელმეორედ დათვალიერების დროს დათვალიერების ვადებისათვის დაცულ უნდა იქნეს მე-4 მუხლის მოთხოვნა.

9. ორივე დათვალიერებას აუცილებლად უნდა დაესწროს საწარმოს ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელიც ვალდებულია მისცეს კომისიას ყველა საჭირო ცნობა და განმარტება

10. უკეთუ კომისია მე-5 და მე-8 მუხლში აღნიშნულ ვადაზე დასათვალიერებლად არ გამოცხადდება, ადმინისტრაციას უფლება აქვს აამუშაოს საწარმო, ხოლო იგი არ განთავისუფლდება იმ მოვალეობისაგან, რომ შემდგომ ზედამხედველობის წესით აღმოჩენილი ნაკლი გამოასწოროს.

11. ადმინისტრაცია ყველა კონსერვაციაქმნილი საწარმოსი, რომელიც ამოძრავებულია ამა დადგენილების გამოცემამდე თვინიერ შრომის სახ. კომისარიატის ორგანოების წინასწარი ნებართვისა, და რომელიც შრომის ინსპექციის მიერ ჯერ გამოკვლეული არ არის, ვალდებულია განაცხადოს ეს დათვალიერების მოსახდენად და ზედამხედველობის წესით მოთხოვნის წარსადგენად.

12. კონსერვაციაქმნილი საწარმო, რომელმაც წინად მიიღო შრომის სახ. კომისარიატის ორგანოებისაგან ნებართვა მუშაობის წარმოებისათვის, განთავისუფლებულია განცხადების წარდგენისაგან მე-11 მუხლის წესისამებრ.

13. როდესაც კონსერვაციაქმნილი საწარმოს ამოძრავებას თან ერთვის საწარმოს კაპიტალური გადაკეთება, სრულად შეფარდებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. აგვისტოს 26-ის თარიღისა და 35 №-ის დადგენილება სამრეწველო საწარმოთა შენობების აგების დროს წინასწარი გასაფრთხილებელი სასანიტარო-სატეხნიკო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ.

14. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

15. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე მიიცემა პასუხისგებაში შრომის ინსპექტორის მიერ სისხლის სამართლის წესით.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

შრომის დაცვის განყოფილების გამგე **პოლისადოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1324 №-ში 1926 წ. ნოემბრის 10-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულარი № 24 ამიერკავკასის შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის სექტემბრის 24.

761. დამზღვევ ორგანოთა მიერ სრულიად საკავშირო-საამიერკავკასიო გაერთიანებული ფონდის მიმართ 1925-26 საბიუჯეტო წლის დავალიანების დაფარვის წესის შესახებ.

რათა ა/კ. ფედერაციიის დამზღვევ ორგანოთა 1925-26 საბიუჯეტო წლის დავალიანება სრულიად საკავშირო-საამიერკავკასიო გაერთიანებული ფონდის მიმართ დაფარულ იქნეს, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევა მიიღოთ სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1. არა უგვიანეს 1926 წლის ოქტომბრის 15-სა თვითეულმა დამზღვევმა სალარომ უნდა მოახდინოს სრულიად საკავშირო-საამიერკავკასიო ფონდისათვის 1925-26 საბიუჯეტო წლის 10%-იან ანარიცხთა სრული აღნუსხვა, როგორც გადარიცხულთა, ისე სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოებში გადაგზავნილთა. სრულიად საკავშირო-საამიერკავკასიო ფონდის 1925-1926 საბიუჯეტო წლის მთელი ის თანხა, რაც ჯერ გადაგზავნილი არ არის, დაუყოვნებლივ, მისი აღნუსხვისათანავე, უნდა გადაიგზავნოს სრულიად საკავშირო-საამიერკავკასიო გაერთიანებული ფონდის მიმდინარე ანგარიშზე იმ საკრედიტო დაწესებულებაში, რომელსაც სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველო დაასახელებს.

2. უკეთუ სალაროს ხელთქონებული სახსარი საკმარისი არ იქნება იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ და სრულად გადახდილ იქნეს სრულიად საკავშირო-საამიერკავკასიო გაერთიანებული ფონდის 1925-26 საბიუჯეტო წლის გადაუგზავნელი ანარიცხი, დამზღვევმა სალარომ უნდა გადაგზავნოს დავალიანების ნაწილი სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოში და სასწრაფოდ აცნობოს მას როგორც გაგზავნილი თანხის შესახებ, ისე აღნიშნული ფონდის მიმართ 1925-26 საბიუჯეტო წლის დარჩენილი დავალიანების შესახებ. ეს ნაშთი ვალისა დამზღვევმა სალაროებმა უნდა გადაიხადონ, სოც. დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოებში გადაგზავნით, 1926 წლის ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში და, ამასთან ერთად, 1926 წლის ოქტომბრის 1-დან უნდა გადაგზავნონ ხოლმე სრულიად საკავშირო-საამიერკავკასიო ფონდის მორიგი ანარიცხი.

3. ყოველთვე ორჯერ—1-სა და 15-ს რიცხვს—სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველო ყველა იმ თანხას, რაც მისი მიმდინარე ანგარიშით მიღებულ იქნება დამზღვევ სალაროებიდან სრულიად საკავშირო-საამიერკავკასიო გაერთიანებულ ფონდში ამ ფონდისადმი 1925-1926 საბიუჯეტო წლის დავალიანების დასაფარავად, გადაუგზავნის ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს სრულიად-საკავშირო-საამიერ-კავკასიო გაერთიანებული ფონდის სახელწოდების მიმდინარე ანგარიშზე, რომელიც 415 (ოთხას მეხუთმეტე) №-რით სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის საოლქო კონტორაში (ტფილისში) ირიცხება.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი
და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
სოც. დაზღვევის მთავარი სამმართველოს უფროსი **ა. იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
სოც. დაზღვევის მთავარი სამმართველოს
საფონდო განყოფილების გამგე **სოკოლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1324 №-ში 1926 წ. ნოემბრის 10-ს.

ცირკულარი № 23 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის ივნისის 7.

762. წარსული დროისათვის პენსიონერთა პრეტენზიის დაკმაყოფილების წესის შესახებ.

რადგანაც პენსიონერებთან წარსული დროისათვის ანგარიშის ხელახლა გასწორების საკითხში ზოგჯერ გაუგებრობა იჩენდა ხოლმე თავს, ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი, თავისი 1924 წლის ივნისის 17-ის თარიღისა და 119 № ის ცირკულარის (შრომის ინვალიდებისა და გარდაცვალებულთა ოჯახებისათვის პენსიის დანიშვნის თაობაზე შუამდგომლობის ხანდაზმულობის ვადის შესახებ) განსავითარებლად, წინადადებას იძლევა სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნეს შემდეგი:

1. ყოველთვის, როდესაც, პენსიონერის განსაჩივრებისამებრ, საქმის გადასინჯვის დროს აღმოჩნდება, რომ დამზღვევ სალაროს, რომელსაც საქმეში ყველა დოკუმენტი ჰქონდა, პენსია სისწორით არ გამოუანგარიშნია, პენსიის ახალი რაოდენობით გამოანგარიშება გავრცელებულ უნდა იქნეს წარსულ დროზედაც.

ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პენსიის რაოდენობის არასწორი გამოანგარიშება პენსიონერის მიერ წარდგენილი ახალი დოკუმენტების მეშვეობით გამოირკვევა,—ახალი რაოდენობის პენსია ნაანგარიშევი უნდა იქნეს პენსიონერის მიერ ახალი დოკუმენტების წარდგენის დღიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. უკეთუ ის პენსიონერი, რომელიც პენსიას პირველი განცხადების შეტანის დღიდან არ იღებს, აღძრავს საკითხს წინა წლების პენსიის მიცემის შესახებ, ე. ი. დამზღვევი სალაროსათვის პირველად მიმართვის დღიდან, მისი პრეტენზია არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი
და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
სოც. დაზღვევის მთავარი სამმართველოს უფროსი **ა. იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის საერთო-
საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ნასყიდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1324 №-ში 1926 წ. ნოემბრის 10-ს.

ცირკულარი № 24 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის ივნისის 7.

763. რესპუბლიკათა შრომის სახალხო კომისარიატებთან არსებული ქალთა შრომის გაუმჯობესებისა და შესწავლის კომისიების მუშაობის გამოცოცხლების შესახებ.

1924 წლის ნოემბერში რესპუბლიკათა შრომის სახალხო კომისარიატებთან დაარსებულ იქნა ქალთა შრომის გაუმჯობესებისა და შესწავლის კომისიები. მიუხედავად ჩვენი დირექტივებისა, რომ ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის კომისიისათვის რეგულიარულად გამოეგზავნათ ხოლმე ყოველგვარი მასალა აღნიშნული კომისიების მუშაობის შესახებ, ეს მასალა კომისიას, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, არ მიუღია.

ხოლო ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის მიერ უკანასკნელად მიღებული ცნობების მიხედვით, რესპუბლიკანურ შრომის სახ. კომისარიატებთან არსებული ქალთა შრომის კომისიები სრულიად დაშლილა.

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატი ამ მოვლენას არანორმალურად და შეუძლებლად სთვლის, რადგანაც ქალთა შრომის კომისიებს დაკისრებული ჰქონდათ მრავალი მნიშვნელოვანი მოვალეობა ამა თუ იმ წარმოებაში ქალთა შრომის გამოყენების სპეციფიური საკითხების გამო. ა/კ. შრომის სახ. კომისარიატი წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ გამოცოცხლებულ იქნეს ხსენებული კომისიების მუშაობა. კომისიათა ფუნქციები და შედგენილობა განსაზღვრულია ჩვენს 1926 წლის ნოემბრის 4-ის თარიღისა და 148 №-ის ცირკულიარში „შრომის სახალხო კომისარიატებთან არსებული ქალთა შრომის გაუმჯობესებისა და შესწავლის კომისიების რეგულიარული თათბირების შესახებ", რომელი ცირკულიარიც მიღებულ უნდა იქნეს სახელმძღვანელოდ.

ამასთან ერთად ა/კ. შრომის სახ. კომისარიატი გაცნობებთ, რომ უახლოესი დროისათვის განზრახულია ა/კ. შრომის სახ. კომისარიატთან არსებული ქალთა შრომის კომისიის გაფართოებული სხდომის მოწვევა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკანური კომისიების წარმომადგენლნი. ამის გამო თქვენ ჯამი უნდა გაუკეთოთ თქვენი კომისიების მუშაობას წარსული პერიოდისათვის და აგრეთვე მოამზადოთ სხვადასხვა პრინციპიალური საკითხი, რაც აღიძვრის კომისიების მუშაობის პროცესში, და წარუდგინოთ იგი განსახილველად ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისიის გაფართოებულ სხდომას.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისა და მათი შრომის შესწავლის კომისიის გაფართოებული სხდომის მოწვევის ვადა გეცნობებათ დამატებით.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი
და კომისიის თავმჯდომარე **ა. იაშვილი.**

მდივანი **გრიგორიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1324 №-ში 1926 წ. ნოემბრის 10-ს.

დადგენილება № 41 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. ივლისის 28.

764. მანქანებსა და დაზგებზე კონსტრუქტიული საფარველებისა და დამცავი მოწყობილობის გამართვის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1925 წლის აპრილის 13-ის თარიღისა და 110/347 №-ის დადგენილება მანქანებსა და დაზგებზე კონსტრუქტიული საფარველებისა დამცავი მოწყობილობის გამართვის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

შრომის დაცვის განყოფილების გამგის მაგიერ **პოლისადოვი.**

შეთანხმებულია—ა/კ. პროფკავშირთა საბჭო: **შეფტელი.**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

1925 წლის აპრილის 13. № 110/347.

მანქანებსა და დაზგებზე კონსტრუქტიული საფაროველებისა და დამცავი მოწყობილობის გამართვის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკათა შრომის სახალხო კომისარიატებს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი და სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ადგენენ:

1. მანქანათა სააღმშენებლო ქარხნიდან გამოშვებულ მანქანებზე და დაზგებზე გამართული უნდა იყოს კონსტრუქტიული საფაროველები და დამცავი მოწყობილობა, რაც გათვალისწინებულია შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო დადგენილებებში.

2. მანქანებისა და დაზგების საზღვარგარეთ შეკვეთის დროს სამეურნეო ორგანოები ვალდებულ არიან შეიტანონ ხელშეკრულებაში პირობა ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული მოთხოვნის შესრულების შესახებ. იმ მანქანის საწარმოში მუშაობა, რომელიც ამ მოთხოვნას არ შეეფერება, არ შეიძლება.

3. ესე დადგენილება არ გაანთავისუფლებს საწარმოს იმ მოვალეობისაგან, რომ მანქანებისა და დაზგების დადგმის დროს, გარდა ზემოაღნიშნულისა, მოაწყოს აგრეთვე საფაროველები, რასაც შრომის პირობები მოითხოვს.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის 1925 წლის ოქტომბრის 1-დან; ამასთანავე მანქანების სააღმშენებლო ქარხნებს უფლება ეძლევათ აღძრან შუამდგომლობა სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე, სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის მეშვეობით, აღნიშნული ვადის განგრძობის შესახებ იმ მანქანებისა და დაზგებისათვის, რომლებისათვისაც არ არსებობს კონსტრუქციით შემუშავებული ისეთი საფაროველი, რაც შრომის სახ. კომისარიატის სავალდებულო დადგენილებათა მოთხოვნას უნდა შეფერებოდეს.

სსრკ შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **ბახუტოვი.**
სსრკ სახალხო მეურნ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მაგ. **მანცევი.**
შრომის სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფ. გამგე **კაპლუნი.**
შეთანხმებულია პროფკავშირთა სრულიად
საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან: **გინზბურგი.**
შეთანხმებულია მელითონე-მუშათა სრულიად
საკავშირო კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან: **რისკო.**

1925 წლის აპრილის 13.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1324 №-ში 1926 წლის ნოემბრის 10-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 51 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის სექტემბრის 23.

765. დასვენებისა და უქმი დღეებისათვის და დასვენებისა და უქმი დღეების წინა-დღის საშეღავათო საათებისათვის სასყიდლის მიცემის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დასვენების დღეებისა და უქმი-დღეებისათვის სასყიდლის მიცემის შესახებ 1925 წლის თებერვლის 23-ის თარიღითა და № 9-ით გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად, რომელი დადგენილებითაც ა/კსფსრ ტერიტორიაზე შემოღებულია სამოქმედოდ სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წლის თებერვლის 12-ის თარიღისა და 35/565 №-ის განმარტება („ა/კ. შრ. სახ. კომისარიატის შრომის კანონთა ვესტნ.“ № 3 1925 წ.), ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კ. ფედერაციის ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წლის სექტემბრის 4-ის თარიღისა და 194/523 №-ის დადგენილება „დასვენებისა და უქმი დღეებისათვის და დასვენებისა და უქმი დღეების წინა-დღის საშეღავათო საათებისათვის სასყიდლის მიცემის შესახებ“.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი.**

საერთო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ნასყიდოვი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან: **შეფტელი.**

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის სექტემბრის 4 № 194/523.

დასვენებისა და უქმი დღეებისათვის და დასვენებისა და უქმი დღეების წინა-დღის საშეღავათო საათებისათვის სასყიდლის მიცემის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკათა შრომის სახალხო კომისარიატებს.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დასვენებისა და უქმი დღეებისათვის სასყიდლის მიცემის შესახებ 1925 წლის თებერვლის 12-ის თარიღითა და 35/506 №-ით გამოცემული განმარტების („სსრკ შრ. სახ. კომისარიატის იზვესტია“-ს 1925 წ. № 10), გასაუქმებლად—სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შრომის სასყიდლის დროგამოშვებითი თვიური გაცემის დროს არ შეიძლება ყოველკვირეული დასვენების დღისა (შრომის კანონთა კოდექსის 109 მუხლი), უქმი-დღისა (მუხ. 111) და განსაკუთრებული დასვენების დღისათვის (მუხ. 112), აგრეთვე ყოველკვირეული დასვენების დღისა (მუხ. 109) და უქმი-დღის (მუხ. 111) წინა-დღის საშეღავათო საათებისათვის მისაცემ თვიურ გასამრჯელოდან რაიმე თანხის დაკერა.

2. როცა შრომის სასყიდელი დღიურად გაიცემა, შრომის ხელფასი ყოველკვირეული დასვენების დღისა და უქმი-დღის წინა-დღის შემოკლებული საშუშაო დღისათვის გაცემულ უნდა იქნეს სრული დღიური განაკვეთის რაოდენობით, და იმ საშეღავათო საათებისათვის, რაც მუშა-მოსამსახურეს ამ დღეს არ უმუშავნია, მას სასყიდლიდან არაფერი დაეჭირება.

3. ყოველკვირეული დასვენების დღისა (შრომის კანონთა კოდექსის 109 მუხლი) და უქმი-დღის (მუხ. 111) წინა-დღის საშეღავათო საათების სასყიდლის გაცემისა და ანგარიშის გასწორების წესი იმათთვის, ვინც ნაჭრობით მუშაობს ან სასყიდელს საათობით იღებს, განისაზღვრება კოლექტიურ და საშრომო ხელშეკრულობაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ზედმეტი სასყიდელი ნაჭრობითი შეფასებაში ან სატარიფო განაკვეთში შედის, ეს აღნიშნულ უნდა იქნეს კოლექტიურ ან საშრომო ხელშეკრულობაში.

4. გასამრჯელოს რაოდენობა დასვენებისა და უქმე-დღეს შესრულებული სამუშაოსათვის (შრომის კან. კოდ. 109, 111 და 112 მუხ.) არ შეიძლება ნორმალური გასამრჯელოს ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები იყოს. გასამრჯელო ყოველკვირეული დასვენების დღისა (მუხ. 109) და უქმის-დღის (მუხ. 111) წინა-დღის საშეღავათო საათების განშავლობაში მუშაობისათვის უნდა გაიცეს იმ რაოდენობით, რომ ის ნორმალური გასამრჯელოს ერთ-ნახევარზე ნაკლები არ იყოს.

5. უკეთუ მუშა-მოსამსახურე ყოველკვირეული დასვენების დღეს ან უქმე-დღეს იმუშავებს და სამაგიეროდ კვირის შემდგომ დღეებში მიეცემა 42 საათი დასასვენებლად ან, უკეთუ განსაკუთრებული დასვენების დღე სხვა დღით შეიცვლება,—შრომის სასყიდელი ერთმაგი რაოდენობით უნდა გაიცეს.

საშეღავათო საათების ზედმეტი მუშაობისათვის გასაცემი ზედმეტი სასყიდლის მაგიერ კვირის სხვა დღეებში დასასვენებლად თანაბარი საათების მიცემა, უკეთუ დაცულ არ იქნა ყოველკვირეული (შრომის კან. კოდ. 109 მუხ.) და უქმი-დღის (მუხ. 111) განუწყვეტელი, 42 საათიანი დასვენების განუწყვეტლობა,—არ შეიძლება.

6. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ მისი გამოქვეყნების მომენტიდან. ამასთანავე, წარსული დროისათვის ხელახლად ანგარიშის გასწორების საფუძვლად ეს დადგენილება არ მიიღება.

სსრკ შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **ბახუტოვი.**

სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილების გამგე **ბობაშინსკი.**

შეთანხმებულია სრულ. საკაგშ. პროფკავშირთა საბჭოსთან **ვლადიმიროვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1325 №-ში 1926 წლის ნოემბრის 11-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულარი № 28 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის ივნისის 14.

766. სოციალური დაზღვევის ორგანოებში ეკონომიის რეჟიმის განხორციელების შესახებ.

დამზღვევ სალაროთა ხარჯების გადიდება, პენსიის ინდივიდუალურ გაცემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, დასასვენებელი სახლების ქსელისა და სანატორულ-საკურორტო უზრუნველყოფის გაფართოების გამო, ისეთ მოვალეობას აკისრებს დამზღვევ ორგანოს, რომ მისი შესრულება, სადასაზღვეო ფონდების დღევანდელი მდგომარეობის პირობებში, უსათუოდ სერიოზულ სიძნელეს გამოიწვევს.

სოციალური დაზღვევის საქმის მძიმე ფინანსიურ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ფინანსიური დისციპლინის სისუსტე სოციალური დაზღვევის ორგანოებში, სადაც სადასაზღვეო სახსარი ზოგჯერ არა-სათანადოდ იხარჯება ხოლმე. ასეთ პირობებში ეკონომიის რეჟიმის განხორციელება წარმოადგენს ბრძოლას სადასაზღვეო ბიუჯეტის სიმტკიცისათვის.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი საჭიროდ სთვლის იმ ფაქტორების მოსპობას, რაც წარსულში სადასაზღვეო სახსარის მიზანშეუწონელ დახარჯვას იწვევდა, და წინადადებას გაძლევთ მიიღოთ სახელმძღვანელოდ და განსახორციელებლად შემდეგი ღონისძიებანი:

1. უნდა გადაისინჯოს სოც. დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველოს და დამზღვევი სალაროების შტატი და უნდა გამარტივდეს აპარატი იქ, სადაც ისეთი დანაწილებაა (განყოფილებანი, ქვე-განყოფილებანი), რასაც აუცილებლობა არ მოითხოვს. იმავე მიზნით მიღებულ უნდა იქნეს ღონისძიება, რათა მოსამსახურეთა სამუშაო დღე სრულად იყოს დატვირთული, სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველოს და დამზღვევი სალაროების მომუშავენი არ უნდა მოსცდნენ საქმეს სახვადასხვა კომისიების სხდომებში მონაწილეობის მისაღებად, არამედ ეს სხდომები უნდა მოეწყოს ხოლმე საღამოობით, არასამუშაო დროს.

2. უნდა აიკრძალოს ზედმეტი მუშაობის წარმოება და დროებითი მოსამსახურეების დაქირავება. წარვლინება უნდა იყოს მხოლოდ მიზნობრივი, განსაზღვრული დავალებით, და თანაც სისწორით უნდა აღინუსხოს ის დრო, რაც დავალების შესრულებისათვის საჭირო იქნება. სრულიად უნდა მოისპოს ჯგუფებად წარვლინება მინიმუმამდე უნდა შემცირდეს დამზღვევი სალაროების წარმომადგენელთა გამგზავრება რესპუბლიკანურ ცენტრებში; გამგზავრება უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და სოც. დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველოს წინასწარი ნებართვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. უნდა მოისპოს ყოველგვარი ხარჯის გაწევა დამზღვევ ორგანოთა საადგომების რემონტისა და მოწყობისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რემონტი აუცილებლად საჭიროა, ხოლო ამ შემთხვევაშიაც მუშაობა აუცილებლად ზემდგომი დამზღვევი ორგანოს წინასწარი ნებართვით უნდა იქნეს დაწყებული.

4. უნდა შემცირდეს სასტამბო ხარჯები და მოისპოს ბეჭდვა ყოველგვარი დოკუმენტებისა (დაზღვევის წიგნაკი, ბილეთი და სხვ.), რაც იმის დამადასტურებელია, რომ ესა თუ ის პირი დაზღვეულთა წრეს ეკუთვნის.

5. უნდა მოისპოს დამოუკიდებელი საგამომცემლო მუშაობა; შეიძლება მხოლოდ ცენტრის მიერ დაზღვევის საქმის სფეროში გამოცემული პოპულიარული ლიტერატურის ადგილობრივ ენებზე გადმოთარგმნა, ხოლო ეს საკითხიც წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის სოც. დაზღვევის მთავარ სამმართველოსთან.

6. დაბეჭდილი ანგარიში უნდა გამოიცეს მხოლოდ ერთხელ წელიწადში არა უმეტეს ორი ნაბეჭდი ფურცლისა სოც. დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველოსათვის და ერთი ფურცლისა—სამაზრო-საქალაქო სალაროებისათვის; თანაც არ შეიძლება დიაგრამების ფერადად ბეჭდვა. სააგიტაციო პლაკატებისა და ფურცლების გამოცემის საქმე სოც. დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველოს ხელში უნდა იყოს.

7. უნდა მოისპოს ისეთ პერიოდულ გამოცემათა გამოწერა, რასაც დამზღვევი ორგანოების მუშაობასთან უშუალო კავშირი არ აქვს.

8. მაქსიმალური ხელმომჭირნეობა უნდა იქნეს დაცული საკანცელარიო საგნების ხმარებაში და საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯების გაწევის საქმეში.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი არ კმაყოფილდება ზემოჩამოთვლილი ღონისძიებებით, რაც დამზღვევ ორგანოთა ადმინისტრატიულ-სამეურნეო და საორგანიზაციო ხარჯების შემცირებისათვის არის მიმართული, და საჭიროდ სთვლის მიაქციოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ სადასაზღვეო სახსარი მიზანშეწონილად და გეგმიანად უნდა იქნეს დახარჯული დამზღვევი ორგანოების საოპერაციო საჭიროებისათვის. ამ მიზნის მიღწევას დიდათ ხელს შეუწყობს შემდეგი ღონისძიებანი:

1) სტატისტიკური ზედამხედველობა: ა) ავადმყოფობის გამო შვებულების მიცემის საქმისათვის და ბ) პენსიონერთა და უმუშევართა რიცხვის მოძრაობისათვის—სათანადო ღონისძიების თავის დროზე მისაღებად; აქედან გამომდინარეობს კატეგორიული საჭიროება სტატისტიკური მასალის თავის დროზე შემუშავებისა;

2) დამზღვევ სალაროთა საექიმო კონტროლის გაცხოველება და გაძლიერება;

3) დამზღვევ სალაროებში გადასახდელის გასაცემად შესული დოკუმენტებისათვის კონტროლის გაძლიერება;

4) სანატორულ-საკურორტო საქმისათვის და დასასვენებელი სახლებისათვის სადასაზღვეო სახსრის ხელმომჭირნედ დახარჯვა, რისთვისაც არავითარ შემთხვევაში გადაცილებულ არ უნდა იქნეს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

5) დამზღვევ სალაროთა სარევიზიო კომისიების მუშაობის გაძლიერებაზე გაცხოველება, ამ სარევიზიო კომისიებისა, რომელნიც ვალდებულ არიან კონტროლი გაუწიონ სადასაზღვეო სახსრის ყოველგვარი დახარჯვის საქმეს.

სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოებს წინადადება ეძლევათ ორი კვირის ვადაზე აცნობონ ა/კ. შრომის სახ. კომისარიატს სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს მათ მიერ ამა ცირკულიარის შესასრულებლად ხმარებულ ღონისძიებათა შესახებ.

ყველა ღონისძიება, რაც ეკონომიის რეჟიმის განსახორციელებლად ხმარებულ იქნება სოც. დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველოებისა და დამზღვევი სალაროების მიერ—ამიერიდან უნდა აღინიშნოს ხოლმე საკვარტალო ანგარიშებში, რაც ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის სოც. დაზღვევის მთავარ სამმართველოს ეგზავნება.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი და ა/კ. შრომის
სახალხო კომისარიატის სოც. დაზღვევის
მთავარი სამმართველოს უფროსი **იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის საერთო-
საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ნასყიდვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1325 №-ში 1926 წლის ნოემბრის 11-ს.

დადგენილება № 55 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა და ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1926 წლის ოქტომბრის 7.

767. იმ დადგენილებათა და განკარგულებათა (ცირკულიართა) ნუსხის შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის სექტემბრის 27-ის თარიღის დადგენილების გამოცემის გამო—„ა/კსფს რესპუბლიკის იმ კანონდებულებათა ნუსხის შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ორთქლის ქვაბებისა, წნევით მომქმედ ხელსაწყოს, ამწევისა და საამწევო მექანიზმის გამოსაღების თაობაზე" 1925 წლის დეკემბრის 11-ის თარიღის დადგენილების გამოცემის გამო".

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის სექტემბრის 27-ის თარიღის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, რა დადგენილებაც შეეხება ა/კსფს რესპუბლიკის იმ კანონდებულებათა ნუსხას, რომელთაც დაჰკარგეს ძალა სსრ კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ორთქლის ქვაბებისა, წნევით მომქმედ ხელსაწყოს, ამწევისა და სამწეო მექანიზმის გამოსაღების თაობაზე“ 1925 წლის დეკემბრის 11-ის თარიღის დადგენილების გამოცემის გამო,—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი და ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული—1926 წ. ოქტომბრის 2-ს—დადგენილების სამოქმედოდ შემოღების გამო ძალა დაკარგულად ჩაითვალოს:

1. ა/კ. შრომის სახ. კომისარიატისა და ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის 1925 წლის დეკემბრის 31-ის თარიღისა და 84 №-ის—დადგენილება „წესები საქვაბე გადასახადის შესახებ“.

2. ა/კ. შრომის სახ. კომისარიატისა და ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის 1925 წლის დეკემბრის 31-ის თარიღისა და 85 №-ის დადგენილება—„წესები შიდაწვის ძრავისა და წყლის ძრავის გადასახადის შესახებ.“

3. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წლის თებერვლის 26-ის თარიღისა და მე-11 №-ის დადგენილება „გლეხთა წყლის მცირე წისქვილების გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ“.

4. ა/კ. შრომის სახ. კომისარიატისა და ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის 1926 წლის იანვრის 15-ის თარიღისა და მე-2 №-ის ცირკულიარი „ორთქლის ქვაბისა და შიდაწვის ძრავის 1925-26 საბიუჯეტო წლის გადასახადის აკრეფის შესახებ“.

5. ა/კ. შრომის სახ. კომისარიატისა და ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის 1926 წლის იანვრის 25-ის თარიღისა და მე-4 №-ის დადგენილება „საქვაბე გადასახადის წესების დამატების შესახებ“.

6. ა/კ. შრომის სახ. კომისარიატისა და ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის 1926 წლის ივნისის 26-ის თარიღისა და 35 № ის დადგენილება „შიდაწვისა და წყლის ძრავის გადასახადის წესების დამატების შესახებ“.

7. ა/კ. შრომის სახ. კომისარიატისა და ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის 1926 წლის აგვისტოს 21-ის თარიღისა და 47 №-ის დადგენილება „საქვაბე გადასახადის წესების დამატებისა და შიდაწვის და წყლის ძრავის გადასახადის შესახებ“.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახ. კომისირიატის შრომის დაცვის
განყოფილების გამგის მაგიერ **პოლისადოვი.**

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის მაგიერ **ალანია.**

ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი,
სახელმწიფო შემოსავალთა სამმართველოს უფროსი **კალანთაროვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1325 №-ში 1926 წლის ნოემბრის 11-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 64 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის ნოემბრის 6.

768. საფრთხიანობისა და მავნებლობის მიხედვით სატერპენტინო წარმოების 1-ლი კატეგორიისათვის მიკუთვნებისა და სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ, საფრთხიანობისა და მავნებლობის ოდენობის მიხედვით, 1926 წ. გამოცემული შრომის კლასიფიკაციის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის შრომის სახ. კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1926 წლის სექტემბრის 27-ის თარიღისა და 232/922 №-ის დადგენილება „საფრთხიანობისა და მავნებლობის მიხედვით სატერპენტინო წარმოების 1-ლი კატეგორიისათვის მიკუთვნებისა და სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ, საფრთხიანობისა და მავნებლობის ოდენობის მიხედვით, 1926 წ. გამოცემული შრომის კლასიფიკაციის დამატების შესახებ“.

ა/კ. შრომის სახალხო კომისრის მაგიერ — **გოდაბრელიძე.**

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის სოც. დაზღვევის
მთავარი სამმართველოს უფროსის მაგიერ — **ევანგულოვი.**

დადგენილება სსრკ შრომის სახ. კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი

1926 წლის სექტებრის 27. № 232/922

საფრთხიანობისა და მავნებლობის მიხედვით სატერპენტინო წარმოების 1-ლი კატეგორიისათვის მიკუთვნებისა და სსრკ შრომის სახ. კომისარიატის მიერ, საფრთხიანობისა და მავნებლობის ოდენობის მიხედვით, 1926 წ. გამოცემული შრომის კლასიფიკაციის დამატების შესახებ.

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო ადგენს:

1. სატერპენტინო წარმოება თავისი საფრთხიანობისა და მავნებლობის მიხედვით მიეკუთვნოს 1-ლ კატეგორიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ მშრომელთათვის საფრთხინანობისა და მავნებლობის მიხედვით 1926 წ. გამოცემული შრომის კლასიფიკაციის—სფერო 1-ლი—წარმოება, დარგი 1-ლი—სოფლის მეურნეობა, ჯგუფი მე-4—სატყეო მეურნეობა, ქვე-ჯგუფი 1-ლი—მეტყეობა და ტყის მოწყობა—შევსებულ იქნეს ახალი განყოფილებით—№ 1142-4„სატერპენტინო წარმოება (უბის ამოკრა, ხრჩოლვა და ფისის ამოღება)“.

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე **ნემჩენკო.**

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ **კუზიატინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1325 №-ში 1926 წლის ნოემბრის 11-ს.

დადგენილება № 66 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის ნოემბრის 10.

769. შრომის იმ კანონთა და განკარგულებათა ნუსხის დამატების შესახებ, რომელთა დარღვევისათვისაც დამქირავებელი შეიძლება მიიცეს პასუხისგებაში ადმინისტრატიული წესით.

შრომის იმ კანონთა და განკარგულებათა ნუსხის დასამატებლად, რომელთა დარღვევისთვისაც დამქირავებელი შეიძლება მიიცეს პასუხისგებაში ადმინისტრატიული წესით, რა ნუსხაც დამტკიცებულია ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის 1925 წლის აგვისტოს 29-ის თარიღისა და 56 №-ის დადგენილებით (გამოქვეყნებ. „ზარია ვოსტოკა“-ს 971 №-ში 1925 წ. სექტემბრის 8-ს და „ა/კ. შრ. სახ. კომისარიატის შრომის კანონმდებლობის ვესტნიკ“-ის 1925 წ. 16 №-ში)—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1) დამტკიცებულ იქნეს დამატებით შემდეგი ნუსხა იმ კანონდებულობათა, რომელთა დარღვევისათვისაც დამქირავებელი შეიძლება მიიცეს პასუხისგებაში ადმინისტრატიული წესით:

ზედმეტი მუშაობის შესახებ.

1. შრომის კანონთა კოდექსის 104, 105 და 106 მუხლი (ზედმეტი მუშაობის წარმოების წესისა და ამ მუშაობისათვის ნებართვის მიცემის წესის შესახებ).

2. შრომის კანონთა კოდექსის 108 მუხლი (იმ ვალდებულების შესახებ, რომ შესრულებული ზედმეტი მუშაობა აღნიშნულ იქნეს მშრომელის ანგარიშგასწორების წიგნაკში და ზედმეტ სამუშაოთა განსაკუთრებულ დავთარში).

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **გოდაბრელიძე.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის

შრომის დაცვის განყოფილების გამგის მაგიერ **შახნაზაროვი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან **ბაბაჯანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1325 №-ში 1926 წლის ნოემბრის 11-ს.

საქართველოს სახელმწიფო